ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 3
27/01/2017

3-04-4-201701271453

„საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მეთოდური რეკომენდაციებისა და კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლმა 2017 წლის 06 იანვარს (შემოსული კორესპოდენციის №03/31) საკრებულოს რიგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მეთოდური რეკომენდაციებისა და კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტზე წინასწარი რეკომენდაციისათვის გადაეგზავნა სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი დასკვნის (№1739, 20/01/2017, შემოსული კორესპოდენციის №11/04; 24/01/2017) შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულად და მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მსგავსი შინაარსის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქნა დასაშვები, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მეთოდური რეკომენდაციებისა და კითხვარის ფორმის საკითხის რეგულირება, დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს მის მიერ საკრებულოში ინიცირებული „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მეთოდური რეკომენდაციებისა და კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის დამტკიცებაზე.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხი რეგულირებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. განკარგულების კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა- მ.სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე